მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თაობაზე

თარიღი:	16 იანვარი, 2024
სესხის N და დასახელება:	3982-GEO წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამა
კონტრაქტის N და დასახელება:	EQ-2 - ოპერირებისა და ექსპლუატაციის ტექნიკა (ლოტები N: 2, 4, 5, 6 და 7)
სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა:	2025 წლის 27 თებერვალი 15:00 (თბილისის დრო)

1. საქართველოს მთავრობამ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო სახსრები წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამის დაფინანსების მიზნით. მთავრობა გეგმავს, მიღებული სახსრების ნაწილი გამოიყენოს ზემოხსენებული კონტრაქტების დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისათვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს დაშვებული პრეტენდენტებისაგან ერთი ან რამდენიმე კონტრაქტის გასაფორმებლად. კონტრაქტები შედგება შემდეგი ლოტებისა და საქონლისაგან:

- ლოტი 2 – EQ2/ლოტი 2 – 1 ავტომისაბმელის შესყიდვა
- ლოტი 4 – EQ2/ლოტი 4 – 19 ექსკავატორ-დამტვირთველის შესყიდვა (მსხვილი)
- ლოტი 5 – EQ2/ლოტი 5 – 1 ექსკავატორის შესყიდვა
- ლოტი 6 – EQ2/ლოტი 6 –11 (პატარა) ექსკავატორის შესყიდვა
- ლოტი 7 – EQ2/ლოტი 7 –2 ევაკუატორის შესყიდვა

3. საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ტენდერი ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესაბამისად „ერთეტაპიანი: ერთკონვერტიანი“ ტენდერის ფარგლებში და ღიაა უფლებამოსილი ქვეყნების ყველა პრეტენდენტისათვის, როგორც სატენდერო დოკუმენტებშია აღწერილი.
4. მხოლოდ დაშვებული პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტებში მოცემული შემდეგი საკვანძო საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესაბამისად მიიღებენ მონაწილეობას[1]:

[1] თუ პრეტენდენტი წარმოადგენს სატენდერო წინადადებას 2 ან მეტი ლოტის ფარგლებში, მოთხოვნები შესაბამისად დაჯამდება. მონაწილეობის უფლებისა და კვალიფიკაციის შესახებ სრულყოფილი მოთხოვნები მოცემულია სატენდერო დოკუმენტებში.

INTERNAL. This information is accessible to ADB Management and staff. It may be shared outside ADB with appropriate permission.

- **საკონტრაქტო გამოცდილება:**
  გასული **სამი (3) წლის** განმავლობაში მთავარი მომწოდებლის სახით შემდეგი ღირებულების კონტრაქტების წარმატებით შესრულება:

  ლოტი 2: 1 კონტრაქტი ღირებულებით USD 140,000.00
  ლოტი 4: 1 კონტრაქტი ღირებულებით USD 1,600,000.00
  ლოტი 5: 1 კონტრაქტი ღირებულებით USD 112,000.00
  ლოტი 6: 1 კონტრაქტი ღირებულებით USD 568,000.00
  ლოტი 7: 1 კონტრაქტი ღირებულებით USD 232,000.00

კონტრაქტის საგანი, სირთულე უნდა იყოს მე-6 ნაწილში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი მისაწოდებელი მოცულობის მსგავსი:

- **ისტორიული ფინანსური მაჩვენებლები:**
  აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების ან, თუ პრეტენდენტის ქვეყნის კანონი ამგვარად არ მოითხოვს, შემსყიდველისთვის მისაღები სხვა ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა გასული **სამი (3) წლის (2021, 2022 და 2023 ფინანსური წლები)** შესახებ, რათა პრეტენდენტმა დაადასტუროს ფინანსური მდგომარეობის გამართულობა. როგორც მინიმუმ, პრეტენდენტის გასული წლის წმინდა მოგება რომელიც გამოითვლება ვალდებულებებისა და აქტივების სხვაობით, უნდა იყოს დადებითი.

- **საშუალო წლიური ბრუნვა:**
  მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა, რომელიც გამოითვლება გასული **სამი (3) წლის** განმავლობაში დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში მიღებული გადახდების სახით.
  თითოეული ლოტისათვის მოთხოვნილი საშუალო წლიური ბრუნვა შემდეგია:
  ლოტი 2: USD 350,000.00
  ლოტი 4: USD 2,988,000.00
  ლოტი 5: USD 270,000.00
  ლოტი 6: USD 1,364,000.00
  ლოტი 7: USD 580,000.00

5. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად პრეტენდენტები უნდა დაუკავშირდნენ:
   შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
   ქ-ნ ეთერ ფირანიშვილი და/ან ქ-ნ ია მაზანიშვილი
   მისამართი: თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 5/7
   სართული/ოთახის ნომერი: პირველი სართული
   ქალაქი: თბილისი
   ZIP კოდი: 0186
   ქვეყანა: საქართველო
   ტელეფონი: (995 32) 291 90 60
   ფაქსი: (995 32) 22 00 36

INTERNAL. This information is accessible to ADB Management and staff. It may be shared outside ADB with appropriate permission.

ელექტრონული ფოსტის მისამართი: info.procurement@water.gov.ge
ასლი: e.piranishvili@water.gov.ge; i.mazanishvili@water.gov.ge

6. სატენდერო დოკუმენტები გაიცემა ელექტრონული ფორმით მე-6 პუნქტში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

7. წარმოადგინეთ სატენდერო წინადადებები:

- ზემოხსენებულ მისამართზე სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თარიღში ან ამ თარიღის ამოწურვამდე: 2025 წლის 27 თებერვალი, 15:00 (თბილისის დრო)
- სატენდერო წინადადების გარანტიით/გარანტიის შესახებ განცხადებით სატენდერო დოკუმენტების შესაბამისად. სატენდერო წინადადებები გაიხსნება წინადადებების ჩაბარების ვადის ამოწურვიდან მალევე პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ გახსნაზე დასწრებას.

8. შემსყიდველი არაა პასუხისმგებელი ხარჯებზე, რომლებიც პრეტენდენტებმა გაიღეს სატენდერო წინადადებების მოსამზადებლად ან ჩასაბარებლად.

INTERNAL. This information is accessible to ADB Management and staff. It may be shared outside ADB with appropriate permission.